პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 თებერვალი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 36 (9955) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისში მეოცედ შეიკრიბებიან

ამ დღეებში კვლავ გვეწვევა დიდი სპორტული დღესასწაული — ძიუდოს ჭეშმარიტ ზეიმად იქცევა თბილისის XX საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 23 თებერვალს დაიწყება თბილისის სპორტის სასახლეში. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და განაცხადები გამოაგზავნეს აშშ-ის, იაპონიის, გფრ-ის, საფრანგეთის, ბრაზილიის, კორეის, გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, მონღოლეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდებმა. ტურნირში ცალკე იასპარეზებს საქართველოს ნაკრები, ხარბიელზე გამოვა ჩვენი 40 ფალავანი.

## ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ძიუდოში თბილისის XX საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით პრესკონფერენცია და ტურნირზე ჟურნალისტთა აკრედიტაცია ჩატარდება 22 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში. დასაწყისი 18 საათზე.

## კარგი ჩანაფიქრი განვახორციელოთ

### თბილისში მოელიან „გურიას", ქუთაისის „ტორპედოს", გორის „დილას", რუსთავის „მეტალურგის" თამაშს

ეს იდეა ამ დღეებში გამართულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გაჩნდა, როცა პროფკავშირული საფეხბურთო გუნდების ახალი სეზონისათვის მზადების საკითხს განიხილავდნენ.

მართლაც, რატომ არ შეიძლება თბილისში ჩატარდეს ტურნირი ჩვენი პროფკავშირული გუნდების მონაწილეობით? ეს შეჯიბრება მრავალმხრივ იქნება საყურადღებო და სასარგებლო: შემოწმდება გუნდების მზადყოფნის დონე ახალი საფეხბურთო სეზონის წინ; თბილისელი მაყურებლები და სპეციალისტები თვალს მიადევნებენ პერსპექტიულ ფეხბურთელებს, გაეცნობიან მათი თამაშის მანერას, საერთოდ კოლექტივის სათამაშო სტილს და ა. შ. ტურნირით მიღებული შემოსავალი კი შეიძლება გადაირიცხოს დემოგრაფიულ ფონდში.

იდეა შესანიშნავია, ახლა მთავარია პრაქტიკულად განვახორციელოთ ეს ჩანაფიქრი.

## არა მარტო გამარჯვებულები...

რესპუბლიკური ჩემპიონატის ეტაპი

**წყალტუბოში** დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა 45-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლო და ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ეკატერინე ფახიროვამ, რომელმაც 15 შესაძლებლიდან 13,5 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა მისი თანაქალაქელი, ოსტატობის კანდიდატი ივეტა კურცხალია. სხვათა შორის, არც მას წაუგია არც ერთი პარტია. ამდენად, ვფიქრობთ, ორივე მოჭადრაკემ ღირსეულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურები.

შეჯიბრებაში III ადგილი წულუკიძელ ინგა ხურცილავას ხვდა — 11,5 ქულა.

აღსანიშნავია 10 წლის ბათუმელი დიანა დარჩიას, 9-9 წლის ქუთაისელი სოფიკო ტყეშელაშვილისა და სოხუმელი რუსუდან გოლეთიანის კარგი გამოსვლა. დარჩიამ V ადგილი დაიკავა, ტყეშელაშვილმა და გოლეთიანმა კი VI-VIII ადგილები გაიყვეს და თითო ქულა დააკლდათ ოსტატობის კანდიდატის ნორმის შესრულებამდე.

**ფერფაქსი** (აშშ). გაიმართა ჩოგბურთში „ვირჯინია სლიმზის" სერიის ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალური მატჩები. ამ ეტაპზე ასპარეზობას გამოეთიშა ჩვენი ბოლო მონაწილე — ნატალია ზვერევა. მან ორი პარტია წააგო მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ შტეფი გრაფთან (გფრ) — 3:6 და 4:6. ფინალში გრაფის მეტოქე ამერიკელი ზინა ჰარისონი იქნება.

წყვილთა შეჯიბრების ნახევარფინალში ნატალია ზვერევამ და ლარისა სავჩენკომ ინტერნაციონალურ დუეტს ჯიჯი ფერნანდესს (პუერტო-რიკო) და რობინ უაიტს (აშშ) აჯობეს — 3:6, 7:5, 7:5.

**მილანი.** „გრან პრის" პროგრამით გამართული ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი ბორის ბეკერმა (გფრ) მოიგო. ფინალში მან კალინინგრადელი ალექსანდრე ვოლკოვი დაამარცხა — 6:1, 6:2.

### ცელეწაისა - მქროხველი

**კიოლნი.** ცსკა-ს ჰოკეისტებმა დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი (9:1) და მეცხრამეტედ მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არმიელთა კოლექტივი ამ საპატიო პრიზს ზედიზედ მეთორმეტედ დაეუფლა. მეორე ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის ვსჟ-მ, რომელმაც ბოლო შეხვედრა შვეციის „ფერესტალს" მოუგო 4:3.

**ჰააგა.** დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა ზამთრის პირველობა, საბჭოთა სპორტსმენებმა ოთხი უმაღლესი ჯილდო მოიპოვეს. სიგრძეზე ხტომაში ყველას აჯობა გ. ჩისტიაკოვამ (6 მ 98 სმ). სამხტომში ნ. მუსიენკომ (17 მ 29 სმ), სპორტულ სიარულში 5 კილომეტრზე — მ. შჩენიკოვმა (18.35,60), ჰოკით ხტომაში — გ. ეგოროვმა (575 სმ).

**ბუდაპეშტი.** ახალგაზრდა მოფარიკავეთა ტურნირზე („დრუჟბა") საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის გუნდი და პირველი ადგილი მოიპოვა ხმლით ფარიკაობაში. დაშნით ბრძოლაში უძლიერესი უნგრეთის გუნდი იყო.

**ინგლვუდი** (აშშ). საბჭოთა მძლეოსნები წარუმატებლად გამოვიდნენ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. ჰოკით ხტომაში გამარჯვება ჯო დაიელმა (აშშ). რადიონ გატაულინი მეორე ადგილზე დარჩა. ორივემ 570 სმ დაძლია, 400 მ რბენაში ო. ბრიზგინას მესამე დრო ჰქონდა (1.00,49). გამარჯვება აქ ამერიკელმა ჯენი ვიკერსმა მოიპოვა (54,99). რუდოლფ პოვარნიცინმა 225 სანტიმეტრით მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა სიმაღლეზე ხტომაში. პირველი ადგილი კი ჯიმ ჰოვარდს (აშშ) ხვდა (230 სმ).



**უქმე დღეებში,** ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებების სპორტულ მოედნებზე და სასწავლებლებში იმართება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

შაბათს, თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში გაიმართა მინი-ფეხბურთელთა ფინალური ეტაპის შეჯიბრება.

26-ე პროფტექნიკურმა სასწავლებელმა კი ფრენბურთის მოყვარულებს უმასპინძლა. აქ ასპარეზობდნენ მე-6, 32-ე და 154-ე პროფტექნიკური სასწავლებლების წარმომადგენლები.

კვირას 94-ე საშუალო სკოლას ეწვივნენ 131-ე სკოლის IV-VIII კლასის მოსწავლეები. მათ შორის ასპარეზობები გაიმართა ხელბურთსა და კალათბურთში.

## გურამ გედეხაური მესამე იყო

**პლევენი** (ბულგარეთი). კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე სსრ კავშირის ათლეტებმა ოთხი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავეს.

ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 48 კგ-ში — გროზნოელი შამსადინ აბასოვი (ფინალში გდრ-ის წარმომადგენელი იან ურბიხი დაამარცხა), 57 კგ-ში — როსტოველი სერგეი ბულანოვი (ბულგარელ კირილ სტეპანოვს აჯობა), 68 კგ-ში მოსკოველი ვალერი პერმინოვი (როსტოველ ისლამ დუგუჩიევს მოუგო) და 82 კგ-ში — ვიქტორ მალოვი (ბულგარელი იორდან სპასოვი დაამარცხა).

მესამე ადგილები დაიკავეს 52 კგ-ში — კიშინიოველმა ვიქტორ კოლესნიკმა და 100 კგ-ში — თბილისელმა გურამ გედეხაურმა.



**თბილისში,** ვაკის საცურაო აუზში გაიმართა საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობა, რომელშიც 1971-72 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. უძლიერესის სახელი თბილისის ნორჩმა დინამოელებმა მოიპოვეს, მეორე იყო ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდი, მესამე — საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენლები.

სურათზე: სარბიელზე არიან თბილისის ნორჩი დინამოელისა და საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს წყალბურთელები.

ამ შეჯიბრების შესახებ უფრო ვრცლად გესაუბრებით „ლელოს" უახლოეს ნომერში.

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო.

## ორი უმაღლესი ჯილდო

**ლახტი.** მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებს პირველი ოქროს მედალი ალმაათელმა ვლადიმერ სმირნოვმა მოუტანა. 30 კილომეტრიანი დისტანცია მან 1:24. 56.9-ში გაირბინა. მეორე ადგილზე ნორვეგიელი ვეგარდ უივანგი გავიდა (1 25.03,6), მესამეზე — კრისტერ მაიბეკი (შვეცია) — 1:25.09,8.

კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო ჩვენს გუნდს 20 წლის მაგადანელმა სტუდენტმა ელენა ვიალბემ შესძინა, რომელმაც ყველას აჯობა 10-კილომეტრიან დისტანციაზე — 27.04,5. ვერცხლის მედალი მარიო მატიკაინენს (ფინეთი) ხვდა — 27.36,7, ბრინჯაოსი — იჟევსკელ თამარა ტიხონოვას — 27.58,8.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ჩემპიონატში მატიკაინენმა უკვე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

## მადლიერნი ვართ პატივი მივაგოთ

**ნონა** გაფრინდაშვილის სახელი ყველა ქართველისათვის საფიცარია. ნონამ დიდი სიხარული და სიამაყე მოგვანიჭა მთელ ქართველ ერს. ჩვენც ვალდებული ვართ პატივი მივაგოთ დიდ ქართველ მოჭადრაკე ქალს, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა მსოფლიოს ჭადრაკში.

აუცილებლად მიმაჩნია, წელსვე გადაწყდეს დაღებითად ეს საკითხი — გაიმართოს დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილის სახელი ეწოდება.

და კიდევ, გულწრფელი მადლობა ამ იდეის მომწოდებელს, პატივცემულ ვახტანგ მახარაძეს.

**ბოჩა ბოგოლაძე.**

ბორჯომი.

# კეჩ ას კეჩ კენ

**ახლ** ეწოდება ჭიდაობისა და ჩხუბის ნარევს რინგზე, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში „ოკეანისგაღმელთა“ წეს-ჩვეულებებს მივაწერდით და ვთვლიდით, რომ იგი მათ მხეცურ ინსტიქტებს ესადაგებოდა. „კეჩი“ — ეს თითქმის მკვლელობაა რინგზე, — ვარწმუნებდით ყველას. ახლა კი გვესმის, რომ იაპონელ იმპრესარიოს სურს ამ საქმეს აზიაროს ჩვენი სახელოვანი ფალავნები სოსლან ანდიევი, სალმან ხასიმიკოვი და სხვები. ამასთან დაკავშირებით მახსენდება „კეჩის“ პირველი მატჩი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩავატარე ოციოდე წლის წინ.

საქმე ასე იყო: 1965 წელს კუბიდან თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში 20 სპორტსმენი ჩამოვიდა. ჩვენ მათგან პედაგოგები უნდა მოგვემზადებინა, რომლებიც შემდგომ კუბაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ორგანიზატორები უნდა გამხდარიყვნენ. მე დამავალეს ორი მოჭიდავის, ორესტესისა და როდრიგესის მომზადება. ორესტესი შავკანიანი იყო, ხოლო როდრიგესს, ო' ჰენრის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მკრთალსახიანი უფრო ეთქმოდა, მაგრამ მე სხვა განსხვავებამ გამაოცა: პირველი ილეთებს გაბედულად, თამამად ასრულებდა, ხოლო როდრიგესი, თუმცა - კი თავის ამხანაგზე ზორბა და ძლიერი იყო, მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ დახმარებოდა „მოწინააღმდეგეს“ ილეთის უკეთ ჩატარებაში. წინააღმდეგობაზე უარის თქმა მან იმით ახსნა, რომ შეიძლება ილეთი ულამაზოდ გამოვიდეს, ხოლო მაყურებლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მან სანახაობისგან სიამოვნება მიიღოს.

იქვე გამოირკვა, რომ ორესტესსა და როდრიგესს კუბაში პროფესიონალ კეტჩერებად ემუშავათ. რასაკვირველია, მაშინვე ვისარგებლე შესაძლებლობით ახლოს გავცნობოდი ამ უცნაურ „კეჩს“.

მის მთავარ აზრს, ისევე როგორც საცირკო ჭიდაობისა, წარმოადგენს რაც შეიძლება მეტი მაყურებლის მიზიდვა სარბიელზე...

65 წლის წინათ თბილისში სპორტის მოყვარულთათვის არ ყოფილა ცირკში ჭიდაობაზე უფრო პოპულარული სანახაობა. მაყურებელთა აღტაცებას იწვევდა ცნობილ ფალავანთა სახელები, ზოგი მათგანი ნიღბით გამოდიოდა და არავინ იცოდა ვინ იყვნენ ისინი, თუმცა გამარჯვებულ მოჭიდავეს უფლება ჰქონდა მოწინააღმდეგისთვის ნიღაბი მოეხსნა, რაც უფრო აღვივებდა მაყურებელთა ინტერესს...

იური ნაგიბინს თავის ერთ-ერთ მოთხრობაში აღწერილი აქვს, თუ როგორ გაეცნო იგი ცირკის მოჭიდავეებს. მათგანვე გაიგო, რომ თითოეულს აქვს თავისი „ამპლუა“ და არენაზე ნამდვილი ორთაბრძოლის ნაცვლად წინასწარ შემუშავებული სპექტაკლები თამაშდება, რასაც ისინი მოხერხებულად ნიღბავენ, ერთმანეთზე იწევიან, ტეხენ სკანდალს, უჩივიან მსაჯებს და ასე შემდეგ.

ჩვენ, ბიჭებიც, ცხადია, ვერ ვამჩნევდით ამას და თავგამოდებით ვქომაგობდით სათაყვანებელ ფალავნებს, რაშიც უფროსებს არ ჩამოვრჩებოდით. ცირკის მოჭიდავეებს საერთოდ, უძლეველის სახელი ჰქონდათ.

მაგრამ ცირკის მოჭიდავეების გამოსვლები პირდაპირ სამაგალითო საჩვენებლად დამთავრდა... 1939 წელს მოსკოვში, მწვანე თეატრში ჩატარდა ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონატი, რომელშიც ცირკის ფალავნებიც მიიპატიჟეს. ცირკმა, რასაკვირველია, პრესტიჟის შესანარჩუნებლად შეჯიბრებაზე საუკეთესო მოჭიდავეები გაგზავნა, თან არც ერთი მათგანი 100 კილოგრამზე ნაკლებს არ იწონიდა.

მაგრამ საბჭოთა კავშირის პირველი აბსოლუტური ჩემპიონი გახდა კონსტანტინე კობერიძე, რომელიც 90 კილოგრამზე ნაკლებს იწონიდა, მეორე ადგილზე 80-კილოგრამიანი ივან მიხაილოვსკი გავიდა. და მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა ბოშა იანის ფსევდონიმით მოასპარეზე ცირკის მოჭიდავე ივან კუკსენკომ, რომელიც შესანიშნავი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩეოდა.

ასე გაცამტვერდა მითი ცირკის მოჭიდავეთა შესახებ და მალე ამ სანახაობამ არსებობა შეწყვიტა.

თუმცა არსებობს ლეგენდა, რომ ცირკის მოჭიდავეები წელიწადში ერთხელ ჰამბურგში იკრიბებოდნენ, რათა დახურული კარის მიღმა ურთიერთშერკინებებში გამოევლინათ უძლიერესი. სწორედ აქედან წამოვიდა გამოთქმაც: „ჰამბურგული ანგარიშით“, ე. ი. ვინ არის უკეთესი სინამდვილეში...

მოკლედ, ორესტესთან და როდრიგესთან ერთად ვხვეწდით როგორც კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის, ასევე „კეჩის“ ილეთებს. სწავლა წარმატებით მიმდინარეობდა და არდადეგების დროს რომ არ შეწყვეტილიყო, ზაფხულში ერთად წავედით დაბა ლესელიძეში. დავბინავდით ქ. ლესელიძის სახელობის დასასვენებელ სახლში, სადაც იმხანად დირექტორად მუშაობდა შესანიშნავი ადამიანი, საბჭოთა კავშირის გმირი გერმანე კილასონია.

იმ დროს კუბაში საზაფხულო კარნავალის დღე ახლოვდებოდა და ბიჭებმაც გადაწყვიტეს იგი ისე აღენიშნათ, როგორც კუბაში სჩვეოდათ — გამოსულიყვნენ სცენაზე და გაერთოთ მაყურებელი. სამზადისი ნაადრევად დაიწყეს, ზოგს გოგონას როლი უნდა შეესრულებინა, ჩვენ კი გადავწყვიტეთ გვეჩვენებინა „კეჩი“.

...ღია ესტრადის წინ სკამებზე ადგილი აღარ დარჩა, დამსვენებლები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ მხიარულ კარნავალს, სიმღერებს გიტარის აკომპანიმენტით. შემდეგ ჩვენი ჯერიც დადგა.

მე წინასწარ დაახლოებით ასეთი რამ ვუთხარი მაყურებელს:

— ჩვენ ახლა გიჩვენებთ ამერიკულ პროფესიულ ჭიდაობას „კეჩ ას კეჩ კენს“, რომელიც ასე ითარგმნება: სტაცე ხელი, როგორც შეგიძლია. თქვენ წარმოგიდგენენ მთელ რიგ უხეშ და სასტიკ ილეთებს, მაგრამ მხოლოდ მოსაჩვენებლად. მაგალითად, სახეში დარტყმა სინამდვილეში იქნება დარტყმა მკერდში ან სხეულის სხვა ნაწილზე. ასეთი სახით, ამერიკელი პროფესიული მოჭიდავეები, „კეტჩერები“, თამაშობენ რა ბრბოს მდაბალ ინსტიქტებზე, მსგავსი ფოკუსებით ატყუებენ მათ, სწორედ ისე, როგორც, ვთქვათ, იგორ კიო შუაზე ხერხავს ყუთში მყოფ ქალს. მთავარია, არ მიიღოთ ნანახი ჭეშმარიტებად, ყურადღებით უცქირეთ და ეცადეთ შეამჩნიოთ, რაში გატყუებენ.

მე წინასწარ, რასაკვირველია, თავი დავიზღვიე, ჩავთვალე, რომ ჩემი გამოსვლით კეჩის ეფექტი ნულამდე დავიყვანე, ასე ვფიქრობდი, მაგრამ...

და აი, საცურაო კოსტუმებში გამოწყობილი ჩემი მოჭიდავეები სცენაზე გამოვიდნენ, ვაზელინით გაპოხილი მათი სხეულები ბზინავდა... კეტჩერებმა მოთელვა დაამთავრეს და დაიწყეს მტრული ზრახვების გამოვლენა ერთმანეთის მიმართ, მუშტებს უღერებდნენ, კბილებს აელვებდნენ...



დე, რომლებიც მოითხოვდნენ ცემა-ტყეპის შეწყვეტას, თავიდან მოიხდა ყველაფრის გამეორება, რათა ისინი დამეწყნარებინა, მაგრამ შემდეგ უარესი მოხდა.

როდრიგესი სირბილით გაექანა მეტოქისაკენ, ახტა და ორივე ფეხით დარტყმა მიაყენა მკერდში, ორესტესი საშინელი ხმაურით დაეცა ძირს: დასაცავად მკერდზე მიკრული ხელების ტყაპუნის გარდა, სცენაზე დავარდა გრძელი ჯოხი, რომელსაც ფარდა ეჭირა. ორესტესი გაგორდა იატაკზე და სახით ჩაემხო ყვავილნარში, რომელიც სცენის კიდეს ესაზღვრებოდა. მაყურებლები კვლავ წამოხტნენ ადგილიდან და მისი წამოყენება სცადეს, მაგრამ ორესტესმა თავი მოიმკვდარუნა. როდესაც იგი, როგ-

სასტვენის ხმაზე ჭიდაობა დაიწყო. ერთ-ერთ ეპიზოდში ორესტესმა როდრიგესს თმაში სტაცა ხელი და ქვემოდან ძლიერი დარტყმა მიაყენა ვითომ სახეში, სინამდვილეში კი მკერდზე დაარტყა გაშლილი ხელი, რასაც, რასაკვირველია, ხმამაღალი ტკაცანი მოჰყვა. როდრიგესი ზურგით დაეცა ლეიბზე, თან მასზე მოხერხებულად დაარტყა გაშლილი ხელისგულები, რითაც მძიმედ დაცემის ეფექტი შექმნა. შემდეგ იგი წამოხტა, მოწინააღმდეგეს ეცა, მისი თავი იღლიის ქვეშ მოიგდო და ენერგიულად დაუწყო ქვემოდან სახეში ცემა. სინამდვილეში კი ნახევრადმომუჭულ ხელს თვითონ ირტყამდა მკერდში და ირგვლივ ბაგა-ბუგი ისმოდა. საბოლოო დარტყმით კი მან ორესტესი უკან გადააგდო, რომელიც ლეიბზე განერთხო და ხელებით დაიფარა სახე.

ამ დროს მაყურებლები ადგილიდან წამოხტნენ და სცენაზე აცვივდნენ მოჩხუბართა გასაშველებლად.

მე სასტვენით შევაჩერე ჭიდაობა და ხალხის დაშოშმინება ვცადე, რომლებიც მოითხოვდნენ ცემა-ტყეპის შეწყვეტას...

ორც იქნა, ფეხზე დააყენეს, მთელი სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, შემდეგ ორესტესმა სრულიად მხეცური სახე მიიღო და მოწინააღმდეგისკენ გაექანა. მე, სცენარის მიხედვით, გზა გადავუღობე, მაგრამ მოჭიდავემ უკუსვლისას გამამტყრა და ხელის კვრით ზურგზე დამცა, რაც ხმაურით შევასრულე. როდრიგესისკენ გზა ხსნილი იყო. ორესტესმა მას ხელები შემოხვია და ზურგით ხალიჩაზე ხეთქება დაუწყო (რასაკვირველია, ამხანაგის დახმარებით). ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ცოტაც და როდრიგესი სულს გააფრთხობდა.

მაყურებელთა სასახელოდ, უნდა ითქვას, რომ მათ არ დაუშვეს ასეთი ფინალი, სცენა ხალხით გაივსო, რომლებმაც „გამხეცებულ“ ორესტესს „მსხვერპლი“ ხელიდან გამოსტაცეს. ჩემი ყოველგვარი ცდა, თავის ადგილზე დამებრუნებინა ხალხი, ამაო აღმოჩნდა, წარმოდგენა სამარცხვინოდ ჩაფლავდა — ჩემი მოწაფეები მეტისმეტად კარგი მსახიობები აღმოჩნდნენ.

დილით კი ჩემთან მოვიდა გერმანე კილასონია და მითხრა, რომ დამსვენებლები აგროვებენ ხელმოწერებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე, სადაც ბრალად მდებდნენ კუბელი ახალგაზრდების აბუჩად აგდებას. დირექტორს ვთხოვე „საინიციატივო ჯგუფი“ ჩვენს ვარჯიშზე მოეყვანა.

საღამოს ხუთი მოღუშული მამაკაცი — ისინი დამსვენებლები იყვნენ — ჩვენთან, დარბაზში მოვიდნენ.

— რა არის სალაპარაკო, ისედაც ყველაფერი ნათელია. — წარმოთქვა ერთმა მათგანმა, მაგრამ კუბელთა გულღია ღიმილმა მათ ცოტა ნირი შეუცვალა.

— ახლა ჩვენ გიჩვენებთ იმ ილეთებს, რომლებიც გუშინ, სცენაზე წარმოგიდგინეთ. — ვუთხარი სტუმრებს.

გუშინდელმა „მოწინააღმდეგეებმა“ ყველაფერი თავიდან გაიმეორეს, ოღონდ შენელებულ ტემპში და იმაზეც გაამახვილეს ყურადღება რაც მაყურებელს შეუმჩნეველი დარჩა.

— მაშინ წინასწარ უნდა გაგვეფრთხილებინეთ. — თქვა ერთ-ერთმა მოსულმა.

— აბა, მეტს რას ვაკეთებდი,— შევეპასუხე.

— სისხლი! გუშინ ხომ სისხლი იღვრებოდა!

ორესტესს უკვე ესმოდა რუსული. მან ქვედა ტუჩიდან გამოიღო საიზოლაციო ლენტში გახვეული უსაფრთხო სამართებლის პირის ნახევარი და წარბის ზემოთ, თმის ძირში კანი გაიჭრა. სისხლი წამოვიდა. „აი, ესეც სისხლი“. — თქვა ორესტესმა და ასეთივე გაჭრილი აჩვენა შუბლის მეორე მხარეს.

ასე დამთავრდა კეტჩერთა პირველი მატჩი საბჭოთა კავშირში.

**ივანე ალიხანოვი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის პროფესორი.

# ქართული ჭიდაობით გაიხსნა

**თბილისის** ინდუსტრიული ტექნიკუმის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტკლუბ „იბერიის“ XV ტრადიციული სპარტაკიადა ქართული ჭიდაობით დაიწყო. ხალიჩაზე ძალა მოსინჯეს ამავე სასწავლებლის მოჭიდავეებმა.

შეჯიბრებები გაიმართება აგრეთვე მაგიდის ჩოგბურთში, ტყვიის სროლაში, ცურვაში, ფრენბურთში, კალათბურთში, კროსში (თბილისის ზღვა) და მშდ-ს მრავალჭიდში.

სპარტაკიადა 14 მარტამდე გაგრძელდება.



სურათზე: მიმდინარეობს გორის ნახევარფინალური ტურნირის ბოლო ტურის შეხვედრები.

გოჩა ბალდასაროვის ფოტო.

ლახტის წრეში

# სოფლის გასაჭირი

## ანუ როგორ ესმით ზოგიერთებს დაჩქარება

**ელდარის** ზამთრის საძოვრები სოფელ კასრისწყალიდან იწყება.

სოფელს დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია და როგორც ყველა ახალ დასახლებაში, აქაც უმეტესობა ახალმოსახლეები არიან. ზოგი ათიოცი წელია რაც აქ გადმოვიდა, ზოგმა კი მამა-პაპეული კერა სულ ახლახან მიატოვა. ამ ადამიანებმა ბევრ სიკეთეზე თქვეს უარი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძნელია მიატოვო ჩვეული გარემო, ახლობელი ადამიანები, მეზობლები, მეგობრები...

კასრისწყალში მეურნეობის ძირითადი დარგი მეცხოველეობაა.

სოფლის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას მოზარდები და მუშა-ახალგაზრდობა შეადგენს. თავისთავად იგულისხმება, რომ დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ფიზიკურ აღზრდას და სპორტმასობრივ მუშაობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ საქმე ძალიან ცუდადაა.

კასრისწყალი ადმინისტრაციულად ახმეტის რაიონის შემადგენლობაშია, მაგრამ რაიონული ცენტრიდან თითქმის 200 კილომეტრითაა დაცილებული. ამიტომ რაიონულ სპორტულ ღონისძიებებში ამ სოფლის ახალგაზრდები ვერ მონაწილეობენ. რჩება შიდასაკოლექტივო ღონისძიებები, მაგრამ ვინ უნდა უხელმძღვანელოს მას, როცა ფიზკულტურის მეთოდისტები არა ჰყავთ?

ფეხბურთის მოედანი გაპარტახებულია და საქონლის გასადენად იყენებენ. კალათბურთის მოედანზე ერთადერთი ფარია აღმართული. სპორტული ინვენტარი არ არის. სპორტის პროპაგანდაზე ლაპარაკიც ზედმეტია — აქაურებისთვის არც პრესა არსებობს, არც ტელევიზია (ყოველ შემთხვევაში, აქ ტელევიზორები საქართველოს ტელეპროგრამებს არ ღებულობენ). ხალხს აღარც ახსოვთ უკანასკნელად როდის აჩვენეს კინოფილმი.

აქამდე სკოლა ერთ ადამისდროინდელ შენობაში იყო მოთავსებული. შარშან ახალი სკოლის მშენებლობა რომ დაიწყო, ხალხს იმედი მიეცა, ბავშვებს მაინც ეშველებათო, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა — ივლისში ჩასაბარებელი შენობა დღესაც მოუმთავრებელია. მეცადინეობები კი ტარდება, მაგრამ ვაი ამ ჩატარებას — ქურქებში გახვეული მასწავლებლები და მოსწავლეები ნახევარ საათს ძლივს სძლებენ კლასებში. ზამთარი უკვე იწურება და სკოლის შენობა ერთხელ არ გამთბარა. საათობით ცივ კედლებში ყოფნისაგან უფროსები სახსრების ტკივილს უჩივიან, ბავშვებს რაღა მოუვათ?

შენობის ერთი ფრთა საერთოდ გამოკეტილია. არსად ჩანს პროექტით გათვალისწინებული ღია სპორტული მოედნები. არ არის დამთავრებული ტირის მშენებლობა, მშენებლებს (წითელწყაროს № 15 მოძრავ-მექანიზებული კოლონა, უფროსი გელა ხუციშვილი) პირდაპირ განუცხადებიათ სკოლის დირექტორისთვის, არ ვიცით როგორ შენდება სასროლეთიო.

ელდარში ხშირად იცის ძლიერი ქარები. ჰოდა, კარგად რომ დაუბერავს, სახურავიდან აყრილი შიფერი ეზოში ცვივა.

მოკლედ, მშენებლების კისერზე რაც ცოდვაა, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი უპასუხისმგებლობა — სად იყო ან სკოლის შემკვეთი (კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, წარმომადგენელი ნოდარ დგებუაძე), ან გურჯაანის № 4 ტრესტის ხელმძღვანელობა, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის წითელწყაროს № 15 კოლონა? ვინ და როდის გამოასწორებს უამრავ ხარვეზს? თუ ყველაფერს დროზე, დაუყოვნებლივ არ ეშველა, მერე და მერე უფრო აღარავინ შეიწუხებს თავს.

სკოლას, ბურთი რა არის, ერთი ბურთიც არა აქვს. სპორტული ინვენტარის მცირე ნაწილი ახლახალა მიიღეს (ზოგ იარაღს რაღაც ნაწილები აკლია და ალბათ ვერ გამოიყენებენ). თუმცა, სპორტულ ინვენტარს ვიღა ჩივის, როცა მთელ რიგ საგნებში ბავშვებს სახელმძღვანელოები არა აქვთ. და ამ დროს იმაზე ვდაობთ, თუ ვინ უნდა იზრუნოს სკოლისთვისო.

სამწუხაროდ, კასრისწყლის სკოლის ისტორია ტიპიურია. ხშირად მშენებლები დროზე, აღნიშნულ ვადებში არ ასრულებენ სამუშაოებს და როცა სასწავლო წელი კარსაა მომდგარი, ფაცი-ფუცით, ნაჩქარევად აკეთებენ ყველაფერს.

რას იზამ, ზოგიერთებს ასე ესმით დაჩქარების პოლიტიკა.

კასრისწყლელები კი შველას ითხოვენ.

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
„ლელოს“ საკ. კორ.
ელდარი.

# იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე



**საუდის** არაბეთში მიმდინარე იუნიორ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი (ასაკი — 21 წლამდე) დიდ ინტერესს იწვევს.

სსრ კავშირის ნაკრებმა, როგორც ცნობილია, თავისი პირველი მატჩი „ბ" ჯგუფში სირიის გუნდთან გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. თამაში მან ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: სტაუჩე, თეთრაძე, ზაეცი, ტაზუნოვი, ბექენარი (ბენკო), პოპოვიჩი, კასიმოვი, თედეევი, ტიმოშენკო, სალენკო (ნიკიფოროვი), კირიაკოვი. ანგარიში 30-ე წუთზე გახსნა ბახვა თედეევმა, მცირე ხანში ოლეგ სალენკომ მეორე ბურთი გაიტანა. შესვენების შემდეგ სირიელებმა ერთი გოლი გაქვითეს, მაგრამ მატჩის დასასრულისათვის სალენკომ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი — 3:1.

ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის „დინამოს" ორი ფეხბურთელი — ომარ თეთრაძე და ბახვა თედეევი.

მეორე შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებმა თავიანთ ჯგუფში კოსტა-რიკის გუნდთან დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგეს ანგარიშით 1:0 (პირველი ტაიმი — 0:0).

თამაში მეტად დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა, ერთადერთი გოლი 85-ე წუთზე გაიტანა ოლეგ მატვეევმა. ჩვენს გუნდთან ერთად ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება პრაქტიკულად გაინაღდეს ბრაზილიელმა ფეხბურთელებმაც („ც" ჯგუფი), რომლებმაც ანგარიშით 5:0 დაამარცხეს მალის ნაკრები.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: ჩეხოსლოვაკია — საუდის არაბეთი 1:0, არგენტინა — ნორვეგია 2:0.

ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩს საბჭოთა ფეხბურთელები ხვალ გამართავენ კოლუმბიის გუნდთან.

# დღეს სოფიაში

დღეს სოფიაში გაიმართება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ბულგარეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მილანში დაამთავრეს საწვრთნელი შეკრება იქაური „ინტერის" ბაზაზე. ჩვენმა გუნდმა აქ ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა „ჯენოვასთან", თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ჩვენი გუნდიდან ბურთი გაიტანა ლიტოვჩენკომ.

# სპარტაკელები სეულს მიემგზავრებიან

**მოსკოვის** „სპარტაკის" ფეხბურთელები ამჟამად თავიანთ მანეჟში ემზადებიან საკავშირო ჩემპიონატისათვის. სპარტაკელები 25 თებერვალს სეულს გაემგზავრებიან, სადაც რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავენ სამხრეთ კორეის გუნდებთან.

# უცხოეთს გაემგზავრება ალექსანდრე ბუბნოვიც

**მოსკოვი.** „სპარტაკის" ფეხბურთელმა ალექსანდრე ბუბნოვმა ხელი მოაწერა კონტრაქტს პარიზის „რედ სტართან", რომელიც საფრანგეთის ეროვნულ საფეხბურთო გათამაშებაში მესამე დივიზიონის გუნდებს შორის გამოდის.

ამ კონტრაქტის თაობაზე ჟურნალისტებს ცნობები მიაწოდინა „რედ სტარის" პრეზიდენტმა, მსხვილმა მრეწველმა **ჟან-კლოდ ბრასმა,** რომელიც წარსულ წლებში საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო და ბელგიის ნაკრებშიც უთამაშია:

— ჩვენი კლუბი 1887 წელს შეიქმნა, ასი წლის არსებობის მანძილზე მას ხშირად ჰქონია აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდები, კერძოდ, კლუბი ხუთჯერ ფლობდა საფრანგეთის თასს, არაერთხელ ყოფილა ჩემპიონატების პრიზიორი. დაახლოებით ათიოდე წლის წინ კლუბს ფრიად კრიზისული სიტუაცია შეექმნა, მაგრამ ვეტერანებმა ბევრი გააკეთეს თავიანთი ოდესღაც ცნობილი გუნდის რეაბილიტაციისთვის, სხვადასხვა პოზიტიური ზომების შემდეგ „რედ სტარი" ახალ გზაზე დგას, თუმცა ჯერჯერობით მაინც მესამე დივიზიონში იმყოფება.

ოპტიმისტები ვართ, მდგომარეობის გამოსწორების იმედს არ ვკარგავთ და იმის იმედიც გვაქვს, რომ კლუბს დიდ დახმარებას გაუწევს ისეთი გამოცდილი სტოპერი, როგორიც საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ალექსანდრე ბუბნოვი არის. მოსკოვის „სპარტაკთან" კარგი ურთიერთდამოკიდებულება გვაქვს, ვფიქრობთ გავაღრმავოთ იგი, ახლავე მზად ვართ მოვიწვიოთ ამ კლუბის შესანიშნავი ფეხბურთელი ფედორ ჩერენკოვი, თუმცა ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჩვენი სურვილებია.

ა. ბუბნოვის პარიზის კლუბში გადასვლასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა მოსკოვის „სპარტაკის" გუნდის უფროსმა **ნ. სტაროსტინმაც:**

— რა თქმა უნდა, ბუბნოვის წასვლა საგრძნობლად დაემჩნევა ჩვენი გუნდის დაცვის თამაშს, მაგრამ „სპარტაკში" დაბრუნდა ბაზულევი და ბუბნოვის ადგილსაც ის შეავსებს. გარდა ამისა, საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეში ბუბნოვი ჯერ კიდევ ითამაშებს „სპარტაკის" შემადგენლობაში და საჭირო დახმარებასაც გაგვიწევს.

რამდენიმე სიტყვა ალექსანდრე ბუბნოვის შესახებ: იგი 33 წლისაა, თავისი საუკეთესო მატჩები ჩატარებული აქვს მოსკოვის კლუბებში „დინამოსა" და „სპარტაკში", ორჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, მოიპოვა 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, მონაწილეობდა 1986 წლის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში, ევროპის ჩემპიონია ახალგაზრდათა შორის. ა. ბუბნოვი ორი წელი ითამაშებს საფრანგეთის კლუბში, მას განზრახული აქვს ახლოს გაეცნოს პროფესიული კლუბის საქმიანობას, იქაურ ფეხბურთელთა ცხოვრებას და ყველაფერი ეს შემდგომში გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში.

ა. ბუბნოვის კონტრაქტს „რედ სტართან" მოსკოვში 16 თებერვალს ხელი მოაწერეს „სოვინტერსპორტის" გენერალურმა დირექტორმა ვიქტორ გალაევმა და „რედ სტარის" პრეზიდენტმა ჟან-კლოდ ბრასმა.

● ფეხბურთი

# მსაჯთა ბოიკოტი

**საბერძნეთის** ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კავშირის წევრებმა გადაწყვიტეს გადაჭრით გაილაშქრონ საფეხბურთო მინდვრებზე ძალმომრეობის წინააღმდეგ. ისინი სიტყვებიდან უკვე საქმეზე გადავიდნენ და შესაბამის ზომებსაც მიმართავენ. როგორც საბერძნეთის სააგენტოები იუწყებიან, ამ ქვეყნის ფეხბურთის არბიტრებმა ბოიკოტი გამოაცხადეს, ისინი არ გამოდიან თამაშების სამსაჯოდ „ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების ხულიგნობის საწინააღმდეგო პროტესტის ნიშნად".

საბერძნეთის საფეხბურთო კავშირი თავის რიგებში 3.500 არბიტრს აერთიანებს. კავშირმა კატეგორიულად მოითხოვა არ დაუშვან პირველი დივიზიონის მატჩებზე ის მოთამაშეები, რომლებიც „აქტიურობდნენ" მსაჯის მიმართ ჩადენილ ხულიგნურ აქციაში საბერძნეთის თასზე კრიტის ოფი-სა და „ლარისას" შორის. ერთ-ერთი გუნდის მოთამაშეებმა და გულშემატკივრებმა მიიჩნიეს, რომ არბიტრმა ნიკოს ხრისანისმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო და გაშმაგებულნი თავს დაესხნენ მას. მსაჯი სერიოზულად დაშავდა, იგი მძიმე მდგომარეობაში მოათავსეს ჰოსპიტალში. მიმდინარეობს საქმის კვლევა-ძიება, თუმცა, არც მსაჯმა და არც მისმა თანაშემწეებმა ჯერ-ჯერობით ხულიგან ფეხბურთელთა ვინაობა არ დაასახელეს.

მსაჯების ბოიკოტის შედეგად კვირის მანძილზე დაგეგმილი საბერძნეთის ჩემპიონატის შეხვედრები გადადებულია.

# ხუთ ჯგუფად დაყო

**ბერლინის** ჟურნალმა „ფუვო" („დი ნოიე ფუსბალვოხე") გამოაქვეყნა ევროპის საფეხბურთო ეროვნული გუნდების ტრადიციული კლასიფიკაცია.

პირველ, უძლიერესთა ჯგუფს ჟურნალი 4 ნაკრებს მიაკუთვნებს: ჰოლანდიის, საბჭოთა კავშირის, გფრ-სა და იტალიის გუნდებს და ეყრდნობა მათ გამოსვლებს ევროპის ჩემპიონატში: „შესანიშნავი ფიზიკური მომზადების წყალობით ისინი თანამედროვე შეტევ ფეხბურთს თამაშობდნენ, რასაც მაყურებლისთვის სიხარული მოჰქონდა".

ჟურნალი ხაზს უსვამს ამ უძლიერესი გუნდების კორექტულ თამაშს, გამოჩენილი ოსტატების მაღალ ხელოვნებას. ისიც საყურადღებოა, რომ ევროპის 10 უძლიერესი ფეხბურთელი („ფრანს ფუტბოლის" ტრადიციული ანკეტით) სწორედ ამ ოთხ გუნდში ირიცხება.

მეორე ჯგუფს ჟურნალმა მიაკუთვნა რუმინეთის, ირლანდიის, ესპანეთის, შვეციის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები.

მესამე ჯგუფს — ინგლისის, დანიის, შოტლანდიისა და ბელგიის წარმომადგენლები. ინგლისელების ესოდენ დაბალი ადგილი ევროპულ რანგლისტში კონტინენტის პირველობაზე მათმა ძალზე უფერულმა გამოსვლამ განაპირობა.

აი, მეოთხე ჯგუფიც: უნგრეთი, საფრანგეთი, ავსტრია, შვეიცარია, გდრ, პორტუგალია, ბულგარეთი, თურქეთი, უელსი, ნორვეგია, ჩრდ. ირლანდია, საბერძნეთი და ისლანდია. ჟურნალი სინანულს გამოთქვამს, რომ გდრ-ის ნაკრები სწორედ ამ ჯგუფში მოხვდა, მაგრამ მას ხომ წლის განმავლობაში თავი არაფრით გამოუჩენია. აშკარა, დიდი რეგრესი აქვთ ფრანგებსაც.

და, ბოლოს, მეხუთე, აუტსაიდერთა ჯგუფს „ფუვო" მიაკუთვნებს ფინეთის, ალბანეთის, მალტის, ლუქსემბურგისა და კვიპროსის გუნდებს. ბოლო ადგილები ევროპაში მათთვის ტრადიციულია, ჟურნალმა ამჯერად ჯგუფებს გარეთ დატოვა ლიხტენშტეინისა და სან-მარინოს ნაკრებები, რომელთაც საკვალიფიკაციო მატჩები არ ჩაუტარებიათ.

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

## არგენტინა

**21-ე ტური.** „ინდეპენდიენტე" — „დეპორტივო ესპანიოლი" 1:0, „სან მარტინი" — „ტალერესი" 1:3, „როსარიო სენტრალი" — „დეპორტივო მანდიუ" 2:1, „ესტუდიანტესი" — „არგენტინოს ხუნიორსი" 2:1, „პლატენსე" — „ველეზ სარსფილდი" 1:0, „ბოკა ხუნიორსი" — „რივერ პლეიტი" 0:0 (3:4), „სან ლორენსო" — „დეპორტივო არმენიო" 0:0 (3:2), „ინსტიტუტო" — „ნეველს ოლდ ბოისი" 1:1 (4:5), „რესინგი" (კორდობა) — „რესინგი" (ბუენოს-აირესი) 1:1 (5:3), „ფეროკარილ ოესტე" — „გიმნასია ესგრიმა" 0:1.

| | | |
|---|---|---|
| „ბოკა ხუნიორსი" | 21 | 43 |
| „ინდეპენდიენტე" | 21 | 42 |
| „რესინგი" | 21 | 40 |

## პორტუგალია

**25-ე ტური.** „ბენფიკა" — „მარიტიმო" 2:0, „პორტო" — „ვიზეუ" 5:0, „ლეიქსოეში" — „პორტიმონენსე" 1:2, „ბრაგა" — „ესპინიო" 3:1, „ბელენენსეში" — „ფარენსე" 2:0, „შავიში" — „პენაფიელი" 4:1, „ბეირა მარი" — „გიმარაეში" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 25 | 37— 9 | 40 |
| „პორტო" | 25 | 32—13 | 36 |
| „ბოავიშტა" | 24 | 35—17 | 30 |

## იტალია

**მე-17 ტური.** „ატალანტა" — „რომა" 2:2, „ჩეზენა" — „სამპდორია" 0:0, „ფიორენტინა" — „ინტერი" 4:3, „ნაპოლი" — „კომო" 3:2, „ვერონა" — „იუვენტუსი" 2:0, „ლაციო" — „ასკოლი" 0:0, „ტორინო" — „ლეჩე" 0:0, „პესკარა" — „პიზა" 0:0, „მილანი" — „ბოლონია" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ინტერი" | 17 | 28— 9 | 28 |
| „ნაპოლი" | 17 | 35—13 | 27 |
| „სამპდორია" | 17 | 20— 9 | 23 |

## ინგლისი

**24-ე ტური.** „ქოვენთრი" — „ნიუკასლი" 1:2, „მილუოლი" — „არსენალი" 1:2, „ნოტინგემი" — „ქუინს პარკი" 0:0, „შეფილდი" — „მანჩესტერი" 0:2, „საუთჰემპტონი" — „ევერტონი" 1:1, „ტოტენჰემი" — „ჩარლტონი" 1:1, „უიმბლდონი" — „ასტონ ვილა" 1:0, „ნორვიჩი" — „დერბი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 23 | 50—24 | 50 |
| „ნორვიჩი" | 24 | 36—25 | 47 |
| „ნოტინგემი" | 24 | 32—23 | 38 |

(საქ. ინფ.)

## თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგოდ

**მელბურნი.** ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თავის სპონსორ ქ. მელბურნის თამბაქოს სინდიკატთან. ეს ურთიერთობა 15 წელი გრძელდებოდა, მაგრამ ახლა ეს კონტრაქტი დაირღვა. ფედერაციის ხელმძღვანელობამ ახალ ხუთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი სწორედ იმ სახელმწიფო დაწესებულებასთან, რომელიც იბრძვის... თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგოდ.

ეს ხელშეკრულება ავსტრალიის ყველა გუნდის ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და ექიმებს ავალდებულებს შეჯიბრების დროს თან ატარონ ახალი სპონსორის სიმბოლო.

## დე ნაპოლის დისკვალიფიკაცია

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სააპელაციო კომისიამ დაამტკიცა იტალიის კლუბის „ნაპოლის" ცნობილი ფეხბურთელის დე ნაპოლის დისკვალიფიკაცია. იგი მინდვრიდან გააძევეს „ნაპოლისა" და საფრანგეთის „ბორდოს" შორის უეფა-ს თასის მატჩში, ამიტომაც 3 მატჩს ვერ ითამაშებს ევროპის საკლუბო ტურნირებში. გარდა ამისა, „ნაპოლი" დააჯარიმეს 4 ათასი შვეიცარიული ფრანკით იმის გამო, რომ მისი ქომაგები მატჩის დროს უდისციპლინოდ იქცეოდნენ.

„ნაპოლიმ" უეფა-ს სადისციპლინო კომისიის პირვანდელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა, სააპელაციო კომისიამ კი დაუსაბუთებელი საჩივრის გამო იტალიის კლუბი კიდევ 2 ათასი შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა.

## ყველაზე ძვირად ღირებული

**ყველაზე** ძვირად ღირებული ფეხბურთის მწვრთნელი მსოფლიოში ამჟამად ჰოლანდიელი იოჰან კრუიფია. მან ხელშეკრულება გააგრძელა „ბარსელონასთან" (ესპანეთი) 1991 წლის 30 ივნისამდე და კლუბის ხელმძღვანელობამ ვალდებულება იკისრა მწვრთნელს ამ ხნის განმავლობაში 3 მილიონი დოლარი გადაუხადოს.

„ბარსელონას" ძირითადი შემადგენლობის ხელმძღვანელობის გარდა კრუიფს ევალება ამ კლუბის ახალგაზრდული გუნდის მეურვეობაც.

„ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტი გასპარტი ტელეფონით ესაუბრა „მილანის" პრეზიდენტ ბერლუსკონის „შავი მარგალიტის" რუუდ გულიტის დათმობის თაობაზე. ბერლუსკონის პასუხი ასეთი იყო:

— გულიტი „მილანში დარჩება, რა თანხაც არ უნდა შესთავაზონ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ „ბარსელონა" ჰოლანდიელის სანაცვლოდ „მილანს" სხვა მოთამაშეებს დაუთმობს.

## 25 აპრილს, ფლორენციაში

**25 აპრილს** ფლორენციაში გაიმართება გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელის ჯანკარლო ანტონიონის გამოსათხოვარი მატჩი. ანტონიონიმ კარგა ხანია შეწყვიტა „ფიორენტინაში" გამოსვლები, მაგრამ ახლა კლუბი ოფიციალურად ეთხოვება მას.

ამ დღეს საინტერესო მატჩი გაიმართება. მსოფლიოს ვარსკვლავთა წინააღმდეგ გამოვა იტალიის 1982 წლის ნაკრები, სწორედ ის გუნდი, რომელმაც იმ წელს ესპანეთში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.



## მსოფლიო ჩემპიონი — ნეგატიური ბალანსით!

**„მსოფლიო** ჩემპიონმა — არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებმა 1988 წლის სეზონი უარყოფითი ბალანსით დაამთავრა". — ნაღვლიანად წერს ამ ქვეყნის სპორტული პრესა. არგენტინული ფეხბურთის პრაქტიკაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

ვინ არის დამნაშავე? სვამენ კითხვას არგენტინელი ექსპერტები და ერთხმად უპასუხებენ: მწვრთნელი ბილარდო.

## მწვრთნელი დაითხოვეს

**კუვეიტის** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლოს ბრაზილიელი სპეციალისტი მიგელ პერეირა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კუვეიტელმა ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი წააგეს არაბეთის გაერთიანებული ემირატების გუნდთან.

კუვეიტის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ შეიხ ფაჰდმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ამ წაგებაში ბრალი მხოლოდ მწვრთნელს მიუძღვის, კუვეიტის გუნდის შემადგენლობაში საკმაოდ არიან ძლიერი ფეხბურთელები, მწვრთნელი კი მათ რიგიანად ვერ იყენებს.

## პელე და ლაიზა მინელი

**ამაში** თითქოს გასაკვირი არაფერი არის — „ფეხბურთის მეფე" პოპულარიზაციას უწევს თავის საყვარელ თამაშს, არც ის არის გასაკვირი, რომ პოპულარული ამერიკელი საესტრადო ვარსკვლავი ლაიზა მინელი ფეხბურთთან რაღაცით იყოს დაკავშირებული. გასაკვირი არ გახლავთ იმიტომ, რომ სპორტის ეს წმინდა მამაკაცური სახეობა კარგა ხანია ქალთა ინტერესების სფეროში მოექცა.

მაგრამ ამჯერად, ამ ორი გამოჩენილი პიროვნების ურთიერთთანამშრომლობას უფრო კეთილშობილური მისია დაეკისრა. პელე და ლაიზა მინელი აწყობენ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეხვედრებს, რომელთა შემოსავლის დიდი ნაწილი შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდს გადაეცემა.

სხვათა შორის, იტალიელმა მხატვარმა ჯულიანო მანჩინიმ და პელემ შექმნეს ლითოგრაფია „ფეხბურთი შიდსი-ს წინააღმდეგ", რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობს. ამ ლითოგრაფიაზე აღბეჭდილები არიან თეთრი მტრედები ბურთის გარშემო.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**

# რევანში ორჯერ

**გაიმართა** უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა მორიგი ტურის მატჩები.

**კიევი.** „სტროიტელმა“ მეორე მატჩიც მოუგო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდს — 103:86 (61:45).

**ლენინგრადი.** ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ადგილობრივი „სპარტაკი“ ჩემპიონატის პირველ მატჩში დამარცხდა ალმა-ათის არმიელთა კოლექტივთან. სტუმრებმა განმეორებითი შეხვედრაც მოიგეს — 97:92 (49:40).

**ტალინი.** დონეცკის „შახტიორმა“ პირველი შეხვედრა „კალევს“ მოუგო 76:71 (42:29). მეორე დღეს ესტონელებმა რევანში აიღეს — 110:89 (50:46).

**მოსკოვი.** ცსკა-სა და ვილნიუსის „სტატიბას“ პირველი ორთაბრძოლა მასპინძლებმა მოიგეს დიდი გაჭირვებით — 82:78 (49:40). მეორე დღეს ასევე ძნელი გამარჯვება „სტატიბას“ დარჩა — 78:76 (40:38).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 თებერვლისათვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოს.) | 30 | 19 | 11 | 49 |
| ასკ (ალმა-ათა) | 26 | 17 | 9 | 43 |
| ცსკა | 25 | 18 | 7 | 43 |
| „კალევი“ (ტალინი) | 28 | 14 | 14 | 42 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 20 | 19 | 1 | 39 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 26 | 12 | 14 | 38 |
| „სტროიტ.“ (კ.) | 20 | 17 | 3 | 37 |
| „დინამო“ (თბ.) | 26 | 8 | 18 | 34 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 26 | 6 | 20 | 32 |
| ვეფ (რიგა) | 27 | 4 | 23 | 31 |
| რტი (მინსკი) | 22 | 8 | 14 | 30 |
| „შახტ.“ (დონ.) | 22 | 7 | 15 | 29 |

## კალეიდოსკოპი

### ესტაფეტა, რომელსაც მხარს უჭერს მსოფლიო

1989 წლის მშვიდობის სპორტული ესტაფეტა, რომელიც განიარაღებას ეძღვნება, სტარტს 9 ივლისს აიღებს პარიზში და 6 აგვისტოს მოსკოვში დასრულდება. ამასთან დაკავშირებით 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში და გდრ-ის ოლიმპიური კომიტეტის წევრი ჰ. მაიერი ბერლინში შეხვდა პრესის წარმომადგენლებს. მან მომავალ ესტაფეტას უწოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სპორტული და კულტურული აქცია, რომელიც ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმის განმტკიცებას მთელს მსოფლიოში.

ესტაფეტის ტრასა გაივლის მეორე მსოფლიო ომის დროს დაზარალებული ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე (დრეზდენი, ვარშავა, ბრესტი, მინსკი, სმოლენსკი და ა შ.). ესტაფეტის ორგანიზაციას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ბელგიამ, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ, გდრ-მ, საფრანგეთმა, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, პოლონეთმა, საბჭოთა კავშირმა, უნგრეთმა, აშშ-მ, გფრ-მ და სხვა ქვეყნებმა. ესტაფეტაში მონაწილეობას მიიღებენველოსიპედისტები, მორბენლები, მოცურავეები, ცხენოსნები, ნიჩბოსნები, აგრეთვე ახალგაზრდები გორგოლაჭებიანი ციგურებით და თხილამურებით, ინვალიდები თავიანთი ეტლებით.

### პრეზიდენტი ასე ფიქრობს

მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა აღნიშნა, რომ ოლიმპიური მოძრაობა სულ უფრო პოპულარული ხდება მსოფლიოში და ახალ თანამოაზრეებს იძენს.

ამას, პრეზიდენტის აზრით, პირველ რიგში, მასობრივ ინფორმაციათა სამსახურების ინტერესი განსაზღვრავს სპორტისადმი. მანვე განაცხადა, რომ სულ უფრო ღრმავდება კონტაქტი დასავლეთის პროფესიონალებსა და აღმოსავლეთის ქვეყნების მოყვარულთა შორის და ესეც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ოლიმპიზმის იდეის პოპულარობას. სამარანჩმა განმარტა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხაზინაში ტელეკომპანიებს შემოსავლის მხოლოდ 5 პროცენტი შემოაქვთ, არადა კომიტეტი დაინტერესებულია, რომ ამ თანხამ 13 პროცენტი შეადგინოს. ეს, პრეზიდენტის აზრით, განვითარებად ქვეყნებში სპორტის პროპაგანდისთვისაა საჭირო.

### ისევ სპორტს დაუბრუნდა

ბიატლონისტებს ხშირად მსროლელ მოთხილამურეებს უწოდებენ. ფინეთის ბიატლონისტთა კავშირმა თავის მსროლელ მოთხილამურეებს 1992 წლის ალბერვილის ზამთრის თამაშებზე ერთი ოქროს მედალი დაუგეგმა. ბიატლონის ყველაზე დიდ ფინელ სპეციალისტს 51 წლის იმო კუუტსას მიაჩნია, რომ ამის შესაძლებლობა მისი ქვეყნის წარმომადგენლებს აქვთ, ოღონდ მათთან დაძაბული მუშაობაა საჭირო.

1985 წელს კუუტსა გაანთავისუფლეს ქვეყნის უფროსი მწვრთნელის თანამდებობიდან. მან პოლიტიკურ კარიერას მოკიდა ხელი და შედარებით მცირე დროში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია ახალ ასპარეზზე — გახდა ქალაქ ინსალმის მუნიციპალიტეტის წევრი. მაგრამ როგორც კი ფინელი ბიატლონისტების საქმე უკან წავიდა, კუუტსა კვლავ გაიხსენეს და მანაც სიამოვნებით გაცვალა პოლიტიკური კარიერა სპორტულზე.

### ოლიმპიადის პროგრამა

ალბერვილის 1992 წლის თეთრ ოლიმპიადაზე 12 სახეობაში მედლების 55 კომპლექტი გათამაშდება (კალგარის თამაშები მოიცავდა სპორტის 10 სახეობას). ამჯერად თამაშების პროგრამაში ორი ახალი სახეობაა შეტანილი — ფრისტაილი და შორტ-ტრეკი. ქალები პირველად მიიღებენ მონაწილეობას ბიატლონში. ყველაზე ბევრი ჯილდო გათამაშდება ციგურებსა და სამთო-სათხილამურო სპორტში.

ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა დაამტკიცა მომავალი თამაშების პროგრამა სახეობების მიხედვით: ბიატლონი (ქალები, ვაჟები), ბობსლეი (ვაჟები), ციგაობა (ქალები, ვაჟები), ციგურაობა (ქალები, ვაჟები), შორტ-ტრეკი (ქალები, ვაჟები), ფიგურული ციგურაობა (ქალები, ვაჟები), ჰოკეი (ვაჟები), სათხილამურო რბენა (ქალები, ვაჟები), ტრამპლინიდან ხტომა (ვაჟები), ჩრდილოეთის ორჭიდი (ვაჟები), სამთო თხილამურები (ქალები, ვაჟები), ფრისტაილი (ქალები, ვაჟები).

### შანხაი სერიოზულად ემზადება

შანხაი 1993 წლის ზაფხულის უნივერსიადის ერთ-ერთი პრეტენდენტი ქალაქია. შანხაიში ფუნქციონირებს 15 სტადიონი (მათ შორის ერთი 45 ათას მაყურებელს იტევს), 40 საწვრთნელი დარბაზი, ასამდე ღია მოედანი, მაგრამ ქალაქის მესვეურებს გადაწყვეტილი აქვთ უნივერსიადისთვის სპეციალურად ააშენონ ერთი კომფორტაბელური სტადიონი და ერთი საცურაო აუზი. აშენდება, აგრეთვე, „სოფელი“ — საცხოვრებელი სახლების კომპლექსი 6 ათასი მონაწილისთვის, ახალი სატელევიზიო ცენტრი და შენობა საერთაშორისო ტელეკავშირისათვის.

ქალაქს საერთაშორისო ტურნირების მოწყობის კარგი გამოცდილება აქვს. მაგრამ იგი მაინც მიიღებს საქმიან კონსულტაციებს იმ ქალაქებიდან, სადაც უნივერსიადა უკვე ჩატარდა. ჩინელი სპეციალისტები გარკვეულ ხანს დაჰყოფენ კობესა (იაპონია) და ზაგრებში (იუგოსლავია), რათა ამ ქალაქების გამოცდილება შეისწავლონ.

### ყველა ბილეთი გაიყიდა

როგორც ცნობილია, ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან „ვერდერი“ (ბრემენი, გფრ) და „მილანი“ (იტალია). მატჩი გაიმართება 1 მარტს, მაგრამ თამაშზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე ერთი თვეა გაიყიდა.

პრესის განცხადებით, სალაროებში სარეკორდო თანხა შემოვიდა. სპეციალისტების აზრით განმეორებითი შეხვედრაც (მილანში), რომელიც ორი კვირის შემდეგ შედგება, ასევე დიდ ინტერესს გამოიწვევს. ბილეთების შოვნა იქაც საკმაოდ ძნელი საქმე იქნება.

## კალეიდოსკოპი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაწინაურდნენ ფრანგები

**შაბათს გაიმართა რეგბისტთა ხუთი ერის პირველობის მესამე ტურის მატჩები.**

პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, საფრანგეთის გუნდმა უელსის ნაკრებს უმასპინძლა. სტატიკურ თამაშში სტუმრებმა ტოლი არ დაუდეს მასპინძლებს, იერიშების წამოწყებასა და ინდივიდუალურ ოსტატობაში კი საგრძნობლად ჩამორჩნენ. უელსელებმა ვერაფერი მოუხერხეს ფრანგების ვეტერანებს — მცველ ბლანკოს, შუამარბ სელას, შერკინების ნახევარმცველ ბერბიზიეს, ჰუქერ დენტრანს: ბლანკომ ორი დიდებული ლელო გაიტანა, ბერბიზიემ და დენტრანმა — თითო, ლაფონმა და მენელმა კი ზუსტი დარტყმებით კიდევ 15 ქულა მოაგროვეს, რასაც უელსელთა მცველმა სორბერნმა ოთხი საჯარიმოს შეგდებით უპასუხა. ფრანგებმა დიდი ანგარიშით — 31:12 (16:6) გაიმარჯვეს და 2 თამაშიდან 4 ქულით გათამაშების ცხრილს თავში მოექცნენ.

დუბლინში, „ლენსდაუნ როუდის“ სტადიონზე, ქარსა და წვიმაში ინგლისელთა მორკინალებმა აშკარად დაჯაბნეს მასპინძელთა — ირლანდიელთა თავდამსხმელები. მატჩის განმავლობაში ბურთს ერთთავად სტუმრები ფლობდნენ და გააზრებულად უტევდნენ, მაგრამ ირლანდიელები თავს მედგრად იცავდნენ. და მაინც, ინგლისელებმა ორი ძალისმიერი ლელო გაიტანეს, მათმა დ მრტყმელმა ენდრიუმ გუნდს კიდევ 8 ქულა შესძინა, რამაც სტუმრებს საბოლოოდ გაამარჯვებინა კიდეც — 16:3 (6:0). ახლა ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს 3-3 ქულა აქვთ (2 თამაშიდან). ირლანდიელებსა და უელსელებს კი — 3-3 თამაშის შემდეგ შესაბამისად 2 და 0.

4 მარტს, მეოთხე ტურში, რომელიც ალბათ ბევრ რამეს გაარკვევს, ინგლისელები ფრანგებს უმასპინძლებენ, შოტლანდიელები კი — ირლანდიელებს.

• • •

**ინგლისური** გაზეთის — „თაიმზის“ ცნობით, პირველად საბჭოთა რეგბის ისტორიაში, ქვეყნის ერთ-ერთი ნაკრები, სახელდობრ — სტუდენტური, ინგლისისა და შოტლანდიის რეგბის კავშირების მიწვევით ამ ქვეყნებში სამმატჩიან ტურნეს გამართავს. საბჭოთა სტუდენტები 4 აპრილს ეთამაშებიან შოტლანდიელებს, 6 აპრილს — რომელიმე სტუდენტურ გუნდს, 9 აპრილს კი დიდი ბრიტანეთის სტუდენტურ ნაკრებს შეხვდებიან. გარდა ამისა, ინგლისის რეგბის კავშირი თანახმაა, ლონდონის ნაკრები ივლისში მოსკოვს მოავლინოს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ, დეკემბერში კი ინგლისში საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების ოფიციალური ტურნე მოაწყოს.

# „ფორმულა-1“: ფირმები და პილოტები

**როგორც** ცნობილია, 4 ივნისს აშშ-ის „გრან პრი“ გათამაშდება არიზონას შტატში, „ფენიქსის“ ტრასაზე. თადარიგშია, აგრეთვე, ავსტრიის „ოსტერრაიხრინგი“, რომელსაც, ახლახან, სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. საბოლოოდ დადგინდა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შემადგენლობებიც, რომლებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

1. აირტონ სენა (ბრაზილია), 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი), „მაკლარენ-ჰონდა“; 3. ჯონათან პალმერი (ინგლისი), 4. მიქელე ალბორეტო (იტალია), „ტაირელ-კოსუორტი“; 5. ტიერი ბუტსანი (ბელგია), 6. რიკარდო პატრეზე (იტალია), „უილიამს-რენო“; 7. მარტინ ბრანდლი (ინგლისი), „ბრებემ-ჯადი“; 9. ბრენდ შნაიდერი (გფრ). 10. აგური სეზუკი (იაპონია), „ლოტუს-ჯადი“; 13. იოაჰიმ ვინკელჰოკი (გფრ), 14. ფილიპ სტრაიფი (საფრანგეთი), „ა-ჟე-ეს კოსუორტი“; 15. მაურიზიო გუგელმინი (ბრაზილია), 16. ივან კაპელი (იტალია), „მარჩ-ჯადი“; 17. დერეკ უორვიკი (ინგლისი), 18. ედი ჩივერი (აშშ), „ეროუზ-კოსუორტი“; 19. ალესანდრო ნანინი (იტალია), 20. ჯონი ჰერბერტი (ინგლისი), „ბენეტონ-ფორდი“; 21 პიერ კარლო გინძანი (იტალია), „ოსელა“; 22. კრისტიან დანერი (გფრ), „რიალ-კოსუორტი“; 23. ლუის პერეს-სალა (ესპანეთი), 24. პიერ-ლუიჯი მარტინი (იტალია), „მინარდი-სუბარუ“; 25. ოლივიე გრუიარი, 26. პიერანრი რაფანელი (ორივე საფრანგეთი), „ლიჟიე-კოსუორტი“, 27. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი), 28. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია), „ფერარი“; 29. ფილიპ ალიე, 30. იანიკ დალმა (ორივე საფრანგეთი), „ლოლა-ლამბორგინი“; 31. რობერტო მორენო (ბრაზილია), „კოლონიფორდი“; 32. გრეგორ ფოიტეკი (შვეიცარია), „ეუროშრუნ-კოსუორტი“; 35. ანდრეა დე ჩეზარისი, 36. ალექს კაფი (ორივე იტალია), „ბე-ემ-ეს დალარა-კოსუორტი“; 37. სტეფან იოჰანსონი (შვეცია), „ონიქს-კოსუორტი“; 38. გაბრიელე ტარკვინი (იტალია), „ფიორსტი“.



როგორც ხედავთ, წელს მოასპარეზეთა შორის ბევრი დებიუტანტია. სწორედ ამიტომ, ახალი წესების თანახმად, ყველა ახალბედა პილოტმა და საავტომობილო ფირმამ ჩემპიონატის წინ უნდა გაიაროს საკვალიფიკაციო რბოლები. აქ ნაჩვენები შედეგებით საუკეთესონი დაიმკვიდრებენ ადგილს უძლიერესთა შორის. ეს ეხება „ბრებემს“, რომელიც „ეუროშრუნს“ გამოეყო, „ცაკსპიდს“, „მინარდის“, „ლიჟიეს“, თვით „ეუროშრუნს“, „ონიქსს“ და „ფიორსტს“. და კიდევ ერთი სიახლის შესახებ: წელს ყველა ეტაპში, საკვალიფიკაციო რბოლების შედეგების მიხედვით, 26 სპორტსმენის მაგივრად იასპარეზებს 20.

სპეციალისტების აზრით, წელს შარშანდელზე უფრო საინტერესო ჩემპიონატი იქნება. მოსალოდნელია დაძაბული ბრძოლა პირველობისთვის, თუმცა უმეტესობა კვლავ „მაკლარენს“ უწინასწარმეტყველებს გამარჯვებას. თუ რომელი პილოტი გახდება ჩემპიონი, ამაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა, დაველოდოთ 26 მარტს, როცა ბრაზილიაში „ჟაკარეპაგუას“ ნელსონ პიკეს სახელობის ტრასაზე სტარტს აიღებს ახალი, რიგით მე-40 ჩემპიონატი.

**დავით ჩუბინიძე.**

# „ტაირელის“ საუკეთესო შენაძენი

**იტალიელმა** ავტომრბოლმა მიქელე ალბორეტომ თავის ძველ გუნდთან, „ტაირელთან“ გააფორმა კონტრაქტი და წლევანდელ სეზონში ამ ფირმის ღირსებას დაიცავს. მისი პარტნიორი იქნება ინგლისელი ჯონათან პალმერი.

ალბორეტომ 1982 წელს თავისი პირველი „გრან პრი“ სწორედ „ტაირელით“ მოიგო ლას ვეგასში, შემდეგ იგივე ავტომობილით 1983 წელს დეტროიტის ტრასაზეც გაიმარჯვა.

ამჟამად იგი ცდის სახელგანთქმული ინჟინერის ჰარვი პოსტლიტუეიტის მიერ კონსტრუირებულ ახალ „ტაირელს“.

„პროტოტიპის“ კლასში მსოფლიოს 1988 წლის ჩემპიონი, ინგლისელი პილოტი მარტინ ბრანდლი წელს „ბრებემის“ ავტომობილით იასპარეზებს.

„ლოლა ლამბორგინის“ ღირსებას დაიცავენ ფილიპ ალიე და იანიკ დალმა. ამ ფირმის მენეჯერმა ჟერარ ლარუსმა „ლოტუსიდან“ გადმოიბირა კონსტრუქტორი ჟერარ დიუკარუჟი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ნაიჯელ მენსელი პირველად მიუჯდა ახალი, 12-ცილინდრიანი „ფერარის“ საჭეს და, საკმაოდ სუსხიან ამინდში, ერთი წრის გავლისას საუკეთესო დრო აჩვენა (1 წუთი და 08,21 წმ). მეორე იყო ბრაზილიელი რობერტო მორენო 1.08,54 წმ). მესამე შედეგი აჩვენა „ფერარის“ მეორე პილოტმა, ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა (1.08,56 წმ).

რამდენიმე საათის წვრთნის შემდეგ ნაიჯელ მენსელი კმაყოფილი დარჩა ახალი ავტომობილით.

**საქ. ინფ.**

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მე-8 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 5 45“-იდან:** 3 (ბობსლეი), 12 (ტანვარჯიში), 19 (სათხილამურო რბოლები), 24 (ხელბურთი), 33 (ფეხბურთი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-იდან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 6 (ძიუდო), 12 (ტანვარჯიში), 18 (მძლეოსნობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10350